ხელშეკრულება № 47-080911-03
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **8 სექტემბერი, 2011 წელი**

ერთის მხრივ, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდეგ – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი **ფინანსური დირექტორის, ალექსანდრე საკანდელიძის** სახით, რომელიც მოქმედებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" გენერალური დირექტორის – ზურაბ ჯანჯღავას მიერ 2011 წლის 7 სექტემბერს გაცემული და ნოტარიუს ნანი სიდამონიძის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (რეესტრში რეგისტრაციის №110951138) და მეორეს მხრივ, შპს "ორიენტ ლოჯიკი" (შემდეგ – "მიმწოდებელი") წარმოდგენილი **დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა, ერთი ერთეული მონიტორი **HP "S2031a"** (შემდგომში საქონელი) მიმწოდებელს ხოლო, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ახალი, გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკა, ერთი ერთეული **მონიტორი DELL "ST2320L" (CPV30231310)** (შემდგომში საქონელი), ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს კომპიუტერული ტექნიკის ღირებულებათა შორის წარმოქმნილი ფასთა სხვაობა.

1.2. კომპიუტერული ტექნიკის (მონიტორთა) დეტალური აღწერა და ღირებულება განისაზღვრება დანართი №1-ის სახით, რომელიც წარმოდგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ორივე "მხარე" ვალდებულია გადასცენ ერთმანეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია.

2.2. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით მიიღოს კომპიუტერული ტექნიკის ღირებულებათა შორის წარმოქმნილი ფასთა სხვაობა

2.3. "შემსყიდველი" ვალდებულია დროულად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადაიხადოს კომპიუტერული ტექნიკის ღირებულებათა შორის წარმოქმნილი ფასთა სხვაობა.

2.4. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გადაცემა.

3. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება "შემსყიდველის" კუთვნილი ერთი ერთეული კომპიუტერული ტექნიკის, მონიტორი **HP "S2031a"**-ს გადაცემიდან 10 (სამუშაო) დღის ვადაში.

3.2. "შემსყიდველის" მიერ საქონლის გადაცემისას "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის ფორმდება „საქონლის" მიღება-ჩაბარების აქტი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის თანხლებით (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ზედნადები) რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.3. "მიმწოდებლის" მიერ „საქონლის" გადმოცემისას "მიმწოდებელსა" და "შემსყიდველს" შორის ფორმდება „საქონლის" მიღება-ჩაბარების აქტი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის თანხლებით (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ზედნადები), რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.4. ორივე "მხარე" უფლებამოსილია უარი განაცხადონ უხარისხო „საქონლის" მიღებაზე.

4. საქონლის ხარისხი

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ „საქონლის" ხარისხი შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

5. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსყიდველის მიერ გადასაცემი ერთი ერთეული მონიტორის **HP "S2031a"** მთლიანი ღირებულება შეადგენს **312 (სამას თორმეტ)** ლარს. მიმწოდებლის მიერ გადასაცემი ერთი ერთეული კომპიუტერული ტექნიკის, მონიტორის **DELL "ST2320L"**-ს მთლიანი ღირებულება შეადგენს **425 (ოთხას ოცდახუთ)** ლარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპიუტერულ ტექნიკის, მონიტორების ღირებულებებს შორის წარმოქმნილი ფასთა სხვაობა - შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 113 (ას ცამეტ) ლარს, აღნიშნულ თანხაში შესულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და გადასახდელები.

5.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) სასაქონლო ზედნადები;

გ) მიღება-ჩაბარების აქტი.

5.3. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4. ანგარიშსწირების ადგილია ქ. თბილისი.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. "მიმწოდებელი" იძლევა 10 თვიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით მითითებულ „საქონელს" არ გააჩნია რაიმე ნაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მიმწოდებელი" თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს არსებული ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის („მიმწოდებლისთვის") გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 25 (ოცდახუთი) დღისა. იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, „შემსყიდველს" უფლება აქვს ერთჯერადი გამაფრთხილებელი სანქციის სახით დააკისროს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზრვრული „საქონლის სხვაობის" ღირებულების 0.1 % ოდენობის ჯარიმის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე რაც „მიმწოდებელმა", არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა („შემსყიდველის" მიერ მისთვის („მიმწოდებლისთვის") ჯარიმის დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან) უნდა გადაიხადოს.

6.2. „საქონლის" ნაკლის გამო წარმოშობილი პრეტენზიის წარდგენის პირობები, ისევე როგორც სხვა ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

6.3. „საქონლის" ტრანსპორტირების (მოწოდების) პროცესში მისი დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება "მხარეს" რომელიც ანხორციელებს ტრანსპორტირებას..

6.4. „საქონლის" დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო „საქონლის" მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისთვის.

6.5. "შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგაცილებულ სამუშაო დღეზე „საქონლის" მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.6. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

6.7. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება აღნიშნული შეტყობინების გარეშეც.

6.8. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში.

6.9. „მხარეთა" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მათ მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

6.10. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე, გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების ნაწილობრივ და/ან სრული შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. "მხარეებს" ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ საქონლის ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი.

8.2. "მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

8.3.1. საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და "შემსყიდველის" მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;

8.3.2. შეამოწმოს საქონელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე და უარი თქვას მის მიღებაზე მისი უხარისხობის შემთხვევაში.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით

9.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების ამოწურვამდე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუქნტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

12.4. მხარეთა მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და/ან ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დამატება/დანართი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი **სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"** მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ს/კ: 206237491 საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი", ბ/კ: BAGAGE22 ა/ა GE80BG0000000145770000 **დირექტორი ფინანსურ საკითხებში** ა.საკანდელიძე	**მიმწოდებელი** **შპს "ორიენტ ლოჯიკი"** მის: ქ. თბილისი ბელიაშვილის ქ. №8, 0159 ს/კ: 202052054 ტელ/ფაქსი: 249 64 44/249 64 40 სს „პროკრედიტ ბანკი" ბ/კ: MIBGGE22 ა/ა: GE67PC0243600100009528 **დირექტორი** **ვ.ნასყიდაშვილი**

შემსრულებელი [illegible]

შეთანხმებულია: [illegible]ეიძე; მ. დადუნაშვილი;

8 სექტემბერი, 2011 წელი

№ 47-080911-03ხელშეკრულების დანართი №1

	"მიმწოდებლისათვის" გადასაცემი კომპიუტერული ტექნიკის (მონიტორი) დასახელება	"მიმწოდებლისათვის" გადასაცემი კომპიუტერული ტექნიკის (მონიტორი) ღირებულება	"შემსყიდველისათვის" გადმოსაცემი კომპიუტერული ტექნიკის (მონიტორი) ღირებულება	"შემსყიდველისათვის" გადმოსაცემი კომპიუტერული ტექნიკის (მონიტორი) დასახელება
1	HP "S2031a	312	425	DELL "ST2320L"
	ჯამი სულ:	312 ლარი	425 ლარი	
სულ გადასახდელი თანხა:				113 ლარი

"შემსყიდველი"

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"

ალექსანდრე საკანდელიძე
დირექტორი ფინანსურ საკითხებში

"მიმწოდებელი"

შპს "ორიენტ ლოჯიკი"

ვაჟა ნასყიდაშვილი
დირექტორი